

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

9 ივლისი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს; ივანე მამფორია.

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს; ტარიელ ბარამიძე.

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განაპირობა 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებაში „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ 2019 წლის 02 ივლისის N1509 განკარგულებით შეტანილმა ცვლილებამ, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტს ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზედა ეწერტობანიერში ხევის მეწყრული კერის რეგულირების მიზნით გამოეყო 101,5 ათასი ლარი. შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 101,5 ათასი ლარით.

ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან გასაწევ გადასახდელებში, 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და მისი ექსპერტიზისათვის განხორციელება შემდეგი სახის ცვლილებები: ამბულატორიების რეაბილიტაციის პროექტირებისათვის მიიმართება 9,4 ათასი ლარი, წყლის სისტემის გაუმჯობესების პროგრამის პროექტირებისათვის 14,8 ათასი ლარი, ადმინისტრაციული შენობების პროექტირებისათვის 5,8 ათასი ლარი, გზების მშენებლობის პროექტირებისათვის 40,0 ათასი ლარი, ხოლო საექსპერტო მომსახურებისათვის 20,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხების მობილიზება მოხდება ტენდერების შედეგად წარმოშობილი ეკონომიისა (თავისუფლების 63 მდებარე შენობის რემონტის, მუზეუმის რემონტის, ვანელობის ღონისძიების და ჭადრაკის სახლის რეაბილიტაციის ტენდერები 24,6 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ასიგნებებიდან სხვადასხვა სახის ინვენტარის და გადამზადებისათვის განკუთვნილი ასიგნებების შემცირებით. (ავტომანქანა 15,0 ათასი ლარი, რბილი ინვენტარი 4,0 ათასი ლარი, გადამზადების ხარჯები 17,0 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ინვენტარი 22,4 ათასი ლარი, სამხედრო სამსახურის ხარჯების თანადაფინანსება 7,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის N986 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებიდან, ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია მიიმართება მოსახლეობისათვის საამშენებლო მასალების შესაძენად.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა :

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა;
2. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ;
4. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე